ანგარიშის ნომერი ფურცელი ფურცლების რაოდენობა

287 1 219

287 1 219

16 01 2025

13.

მეთოდური წიგნების გარჩევა

ამ დღეებში ქალაქის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალმა ქუთაისის მასწავლებელთა ფართო მონაწილეობით მოსწყვეს დოცენტ ვალერიან რამიშვილის წიგნის „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში“ და დოცენტ აკაკი თოფურიას წიგნის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (წიგნი II) განხილვა.

ცნობილი მეთოდისტის, ვ. რამიშვილის წიგნის „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში“ გარშემო მოხსენებით გამოსულმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მეთოდკაბინეტის გამგემ ს. ჯინჯიხაძემ და მოკამათეებმა დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა ა. გიორგობიანმა (მე-3 საშუალო სკოლა), ლ. შარაბიძემ (№ 1 საშუალო სკოლა), გ. ფრუიძემ (მე-11 საშუალო სკოლა), აგრეთვე დამსახურებულმა მასწავლებელმა ტრ. შუბლაძემ, ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტმა დ. გეწაძემ, სტალინირის პედინსტიტუტის ლექტორმა რ. შაშელაშვილმა აღნიშნეს დოცენტ ვ. რამიშვილის ნაშრომის იმ ღირსებაზე, რამაც ხელი შეუწყო რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეს.

როგორც ცნობილია, ვ. რამიშვილის მთელი რიგი წიგნები, როგორიცაა „ქართული ენა — გრამატიკა და მართლწერა“, „პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა“, „შესავალი გაკვეთილები სინტაქსში“, „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა“, „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში“ და სხვა შესანიშნავ მეგზურს წარმოადგენენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის.

ვ. რამიშვილის გასულ წელს გამოცემული წიგნი „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში“, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნეს გამოსულმა ამხანაგებმა, წარმოადგენს ყოველდღიურ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის და პედინსტიტუტების დაწყებითი განათლების ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

გარჩევაში მონაწილე მასწავლებლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს იმ დიდ სარგებლობაზე, რაც მათ ამ წიგნმა მოუტანა, ამასთან ავტორის წინაშე დააყენეს ზოგიერთი მტკივნეული საკითხი. ასე, მაგალითად, მართალია, წიგნში კარგადაა მოცემული მეთოდური მითითებანი სუფთა წერის სწავლების საკითხებზე, მაგრამ ამის შესაბამისად არაა დამუშავებული „ქართული წერის დედანი“, რომლითაც მასწავლებლები ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ. განსახილველ წიგნში ძალიან მოკლედაა მოცემული შეგნებული, სწორი, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევების დანერგვის მეთოდებზე, ხერხებსა და საშუალებებზე, ეს მაშინ, როცა ავტორის წინათ გამოცემულ წიგნში ეს საკითხები უფრო სრულყოფილადაა გაშუქებული. წიგნში მეტად დამაჯერებლადაა განხილული საკითხი საანბანო პერიოდში სუფთა წერაში ჩასატარებელი სავარჯიშოების შესახებ, სამაგიეროდ იგი გამორჩენილია პროგრამაში. საჭიროა მეთოდისტის ამ საქმიანმა მითითებებმა გამოხატულება ჰპოვოს სასწავლო პროგრამაშიც.

გამოსულმა ამხანაგებმა თხოვეს დოც. ვ. რამიშვილს შეიმუშაოს სპეციალური სახელმძღვანელო დაწყებით სკოლაში კარნახით წერის საკითხებზე, რაც ქართული სკოლებისათვის დღემდე არ მოგვეპოვება.

დოცენტ აკაკი თოფურიას წიგნის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (წიგნი II) განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მომხსენებელმა ნ. პეტროსოვამ (მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელი), სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ივ. ვარლამიშვილმა (დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მეთოდკაბინეტის გამგე), ა. ლომაძემ (მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელი), ლ. ბენიაშვილმა (მე-19 საშუალო სკოლის მასწავლებელი), ბ. ნადირაძემ (დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორი), ნ. პაპუაშვილმა (მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი), პ. ხმალაძემ (მუშა-ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), მ. მახათაძემ (ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტი). მათ მაღალი შეფასება მისცეს აღნიშნულ ნაშრომს, რომელშიც საფუძვლიანადაა გაშუქებული ისეთი მნიშვნელოვანი თემები ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის სწავლებიდან, როგორიცაა ლიტერატურულ მიმართულებათა შესახებ განმაზოგადებელი ცოდნის მიწოდების საკითხი, მწერალთა შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის გზა, ზოგადმიმოხილვითი ლექციების ადგილი, სახეები და შინაარსი, ტექსტზე მუშაობის გზები და პრინციპები, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის შესახებ და ა. შ.

მოკამათეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დასახელებული ნაშრომი დიდ დახმარებას უწევს მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მასში კარგადაა განხილული საპროგრამო მასალის ცალკეული თემები კლასების მიხედვით. ასე მაგალითად, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების ამოცანა და თავისებურება (მე-8 კლასი), თაობათა ბრძოლა და გრიგოლ ორბელიანი (მე-9 კლასი), გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამე“ (მე-10 კლასი).

ამასთან აღინიშნა, რომ ავტორმა მეთოდიკის I და II წიგნების ერთობლივ გამოცემაში უფრო ვრცლად გააშუქოს ლირიკული ლექსის დამუშავების გზები და მეთოდები, გაითვალისწინოს აგრეთვე შრომითი აღზრდის საკითხები მშობლიური ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით საბჭოთა სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

სიტყვებით გამოსულმა მასწავლებლებმა მოითხოვეს განხილული წიგნების ტირაჟის გადიდება შემდგომი გამოცემისათვის.

განხილვაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნის“ დირექტორმა ამხ. შ. ბუაჩიძემ.

დასასრულს მეთოდიკური წიგნების ავტორებმა ვ. რამიშვილმა და აკ. თოფურიამ გულითადი მადლობა გადაუხადეს მასწავლებლებს საქმიანი შენიშვნებისათვის და აღუთქვეს შრომების შემდგომ გამოცემაში მათი გათვალისწინება.

ნ. მესხი.

„ქართული ენა“ 6/IV-1940 №26

რომელიც გამოვიდა წარმომადგენელთა პალატის კოსმოსურ პრობლემათა კომისიაში, განაცხადა „არ გამიკვირდება“, თუ წელს რუსებმა ადამიანი გაიყვანეს ორბიტაზე დედამიწის გარშემო.

შეერთებული შტატები არ სახავენ ამგვარ ცდას 1961 წლის დამლევზე ადრე.

ფონ ბრაუნმა, რომელიც გერმანიაში დაიბადა, განაცხადა, რომ კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში რუსეთი რამდენიმე წლით წინ არის. ფონ ბრაუნს „დიდად ეეჭვება“, რომ შეერთებულმა შტატებმა შეძლონ მისი დაწევა 1964 წელს, თუნდაც გავითვალისწინოთ ახალი სახსრები, რომლებიც გაღებულია დიდ



ვ. ულბრიხტის სახელობის „ლეინა-ვერკის“ ქიმიური კომბინატი ლეიწში (გალეს ოკრუგი).

ფოტო ცენტრალბილდისა.

ტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს გეგმები მთვარეზე ასეთ დაშვებას ითვალისწინებენ 1963-1964 წელს“.

კორესპონდენტს მოჰყავს ფონ ბრაუნის განცხადება იმის შესახებ, რომ თუნდაც კონგრესმა გამოჰყოს „დამატებითი მილიონობით“ დოლარი რაკეტების შექმნის დარგში მუშაობისათვის, ეს თანხები, „შეიძლება ითქვას, ამაოდ იქნება დახარჯული“.

ფონ ბრაუნმა, წერს კორესპონდენტი, განაცხადა, რომ „რუსებიც, ეჭვი არ არის, წავლენ წინ კოსმოსის კვლევაში“ იმ პერიოდში, როცა 1964 წელს შეიქმნება რაკეტა „სატურნი“. „შესაძლებელია ისინი ახლაც კი ჰქმნიან რაკეტას, რომელიც თავისი სიდიდით აღემატება ყველაფერს, რაც კი დღემდე გამოუცდიათ მათ.

ასეთი დაჩქარებული პროგრამის დროსაც კი, — თქვა მან, — მეტად საეჭვოა, რომ 1964 წელს ჩვენ წინ ვიქნებით“.

მოკლე ცნობები

◆ ბელგიაში გრიპის ეპიდემია მძვინვარებს. ბელგიის უდიდეს სამრეწველო ცენტრში ქალაქ ლიეჟში აღნიშნულია დაავადების 18 ათასზე მეტი შემთხვევა (ქალაქის მოსახლეობის 10 პროცენტზე მეტი).

◆ ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელიც ამჟამად მოგზაურობს აფრიკის ქვეყნებში, სამხრეთ აფრიკის კავშირში ჩავიდა.

ნესტ ტორხტორი.

მეცნიერების

არაჩვეულებრივი სიგრძის ხომალდი

საზღვაო და სამდინარო ხომალდების ტვირთამწეობის გადიდება ტვირთის გადაზიდვის გაიაფების ერთ-ერთი ძირითადი გზაა. ამიტომ საბჭოთა გემთმშენებლები ამ საკითხს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ და წარმატებით წყვეტენ ურთულეს პრობლემებს.

შარშან ვოლგაზე პირველად გამოჩნდა არაჩვეულებრივი ხომალდი, რომლის სიგრძე 250 მეტრს აღწევდა. ფაქტიურად იგი შედგებოდა სამი სექცია-კარჭაპისა და ბუქსირ-მიმწოლისაგან, რომლებიც ისეა შეერთებული ერთმანეთთან, რომ ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ააგო სტალინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს გემთსაშენმა ქარხანამ და გამიზნულია ქვანახშირის, ხე-ტყისა და სხვ. მშრალი ტვირთის გადასაზიდავად.

ახალი კონსტრუქციის ხომალდი, მიუხედავად არაჩვეულებრივი სიგრ-

შვილები გაბო, რაფო, ანა, სარა, ლოლია, რძლები თამარ, მარგო ელიგულაშვილები, სიძეები ისრაილ ხანანაშვილი, იაშა რიჟინაშვილი, ბენო გაგულაშვილი იუწყებიან, რომ 7 თებერვალს დღის 3 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია

რებეკა დანიელის ასულ ელიგულაშვილის

პანაშვიდი.

ძმა ილია, რძლები მაშიკო, ზინა, ოლია, ძმისშვილები ჟორა, თინა, ნადია, ჟუჟუნა, ლენა, სიძეები ვ. ჯაიანი, ი. მორჩაძე, ა. ბჟანია, ძმისშვილისშვილები გიური, ომარი, ცისანა, დალი, მურმანი, მზია, ნათელა, ირინა, გოჩა, მადონა, ბელა იუწყებიან

აგრაფინა დიმიტრის ასულ გიორგაძე-გაჩეჩილაძის

გარდაცვალებას.

სამედიცინო თემაზე

ახალი ქირურგიაში